ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/42
CPV 50110000 - ავტომობილების და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

ქ. თბილისი **20** სექტემბერი, 2017 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი უფროსის მ/შ - მაია სიმონიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „კია მოტორს ჯორჯია"** წარმოდგენილი მისი დირექტორის - მიხეილ ბაჩიაშვილის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია **სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში** სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების - ორი ერთეული ,,კია-რიოს" (WWO-578 და WWO-579), ტექმომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (სათადარიგო ნაწილებით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. მომსახურება ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშაოების ჩატარების მომსახურებას (ზეთის, ფილტრის, ხუნდების შეცვლა და სხვა ტექნიკური მომსახურებები).

მუხლი 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

2.2. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **1000.00** (ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 2017 წლის საბიუჯეტო სახსრებიდან.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებლის გარანტია გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ან/და შეკეთებულ სათადარიგო ნაწილებზე მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არანაკლებ 20 000 კ.მ-ის გარბენით, გარდა შემდეგი ცვეთადი ნაწილებისა: ფილტრები, საცხებ-საპოხი მასალები და ანთების სანთლები.

3.2. თუ საგარანტიო პერიოდში აღმოჩნდება დეფექტები, რომლებიც გამორიცხავენ ავტომანქანების გამოყენებას დანიშნულებისამებრ, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველისაგან შეტყობინების მიღებიდან 15 დღეში გამოასწოროს დეფექტი ან შეცვალოს დეფექტური ნაწილი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში აღნიშნული გარანტია არ ვრცელდება შემსყიდველის მიერ ავტომანქანების შენახვის, მომსახურებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის, ასევე გარეგანი ზემოქმედების შედეგად (მექანიკური ზემოქმედება, არაკვალიფიციური მოპყრობა და სხვა) მიყენებულ ზიანზე.

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი 5 დღეზე მეტი ვადით დაგვიანებით ან უხარისხოდ გაწეული მომსახურების, ან/და უხარისხო სათადარიგო ნაწილების მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე.

3.5. მომსახურების გაწევის დროს, გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა რისკი ავტომანქანისადმი მიყენებულ ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს.
3.6. მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები
4.1. ავტომანქანების მომსახურება წარმოებს მხარეთა მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის შედგენილი და შეთანხმებული დეფექტური აქტის, ან შეკვეთის საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება გამოსაცვლელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალებისა და შესასრულებელი სამუშაოს შემადგენლობა და მოცულობა. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დეფექტური აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. თუ დეფექტური აქტის მიხედვით საჭიროა სათადარიგო ნაწილების გამოცვლა, შემსყიდველი უფლებამოსილია თვითონ შეისყიდოს ისინი და გადასცეს მიმწოდებელს სამუშაოების ჩასატარებლად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელი არ აგებს პასუხს სათადარიგო ნაწილების ხარისხზე.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია შემსყიდველის მხრიდან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნიკოლოზ ლომსაძე.**

მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი
6.1. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წესით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).
6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერისა და წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
7.1.1. შეამოწმოს მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება;
7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურეობის საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.2.3. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ავტომანქანების ტექნიკური მომსახურება;

7.4.2. შემსყიდველის მიმართვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება და წარუდგინოს შემსყიდველს დეფექტური აქტი ხელმოსაწერად;

7.4.3. მიანიჭოს პრიორიტეტული უფლება ავტომანქანებს მომსახურეობაზე, რაც გულისხმობს მათ რიგგარეშე და დაუყოვნებლივ მომსახურეობას.

7.4.4. უზრუნველყოს დეფექტურ აქტში მითითებული სამუშაოების დაუყოვნებლივ შესრულება..

7.4.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით ან/და მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი. 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება, ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად, მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის მოადგილე - **ნიკოლოზ ლომსაძე**.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობებს მიმწოდებელს, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის, ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

13.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

13.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები, ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას, ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები

მ ხ ა რ ე ე ბ ი:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	**შ.პ.ს. „კია მოტორს ჯორჯია"**
ს.კ. 205300048	ს/კ 236096675
მისამართი: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1ა	მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. 3300,
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკის ც/ფ კოდი: BAGAGE22 ა/ა GE71BG0000000524958100	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ვითიბი ბანკი" კოდი: UGEBGE22 ა/ა GE44VT7000008888883602
უფროსის მ/შ	დირექტორი
მაია სიმონიძე _____ ბ.ა.	**მიხეილ ბაჩიაშვილი** _____ ბ.ა.